როგორც დამცავი, ისე - შემაკავებელი ორდერი, მოძალადის წინააღმდეგ, მსხვერპლის დაცვის მიზნით გამოიცემა; ორდერით მოძალადეს შეიძლება, აეკრძალოს მსხვერპლთან მიახლოება, იმ ადგილებში (მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი ან ნებისმიერი სხვა ადგილი) ყოფნა და მისვლა, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მსხვერპლთან დაკავშირება და საუბარი როგორც პირადად, ისე ტელეფონით, ინტერნეტით (სოციალური ქსელი, სკაიპი, ვაიბერი და ა.შ.); მოძალადეს შეიძლება, დროებით ჩამოერთვას ცეცხლსასროლი იარაღი; **როგორც დამცავი, ისე - შემაკავებელი ორდერის საფუძველზე,** შეიძლება, მოძალადე განარიდონ მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან (ანუ, დროებით აუკრძალონ ამ ადგილზე მისვლა), თუნდაც მოძალადე იყოს ამ საცხოვრებელი ადგილის მესაკუთრე.

როგორც დამცავი, ისე - შემაკავებელი ორდერის საფუძველზე, მსხვერპლი და მასთან ერთად მყოფი მისი არასრულწლოვანი შვილი (შვილები), მსხვერპლის თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია, გადაყვანილ იქნას სახელმწიფო თავშესაფარში.

როგორ უნდა მოიქცეს მსხვერპლი, თუკი მოძალადე არღვევს დამცავი ან შემაკავებელი ორდერის პირობებს?

თუ მოძალადე არ ემორჩილება შემაკავებელი ან დამცავი ორდერის მოთხოვნებს და არღვევს მის პირობებს, მსხვერპლმა დახმარებისთვის უნდა მიმართოს პოლიციის ორგანოს (უნდა დარეკოს 112-ზე) და შეატყობინოს დარღვევის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, მოძალადის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრება, მოძალადეს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ვადით.

როგორ უნდა მოიქცეს მსხვერპლი, თუ პოლიციის მუშაკი თავის სამსახურებრივ მოვალეობებს არ ასრულებს?

მიუხედავად მსხვერპლის მოთხოვნისა, შესაძლოა, პოლიციის მუშაკმა არ გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, ან არ დაიწყოს გამოძიება შემაკავებელი ან დამცავი ორდერის პირობების დარღვევის ფაქტზე. ასეთ შემთხვევაში, მსხვერპლმა უნდა დარეკოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე - 126-ზე, და მიაწოდის ინფორმაცია პოლიციის მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობის ფაქტზე, მოითხოვის რეაგირება.

Sapari / საფარი

საფარი
თბილისი,
აკაკი გახოკიძე 11ა
032 2 30 76 03,
(+995) 599 40 76 03
www.sapari.ge

Sapari / საფარი

საფარი
თბილისი,
აკაკი გახოკიძე 11ა
032 2 30 76 03,
(+995) 599 40 76 03
www.sapari.ge

რა არის ოჯახში ძალადობა?!

ოჯახში ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის / სხვა წევრებისმეორის უფლებების დარღვევა ამა თუ იმ გზით, იქნება ეს უგულებელყოფა, იძულება ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობა ან იძულება.

რა ქმედებებში გამოიხატება ძალადობა?

- ოჯახში ძალადობად მიიჩნევა ქმედება, ოჯახში ძალადობა არის მაშინ, როდესაც ოჯახის ერთი წევრი მეორეზე/სხვა წევრებზე ფიზიკურად ძალადობს ფიზიკურად.; ფიზიკური ძალადობა არის:
- ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მსხვერპლის გამოკეტვა სახლში/ოთახში, ავტომანქანაში, ან სხვა დახურულ სივრცეში), ან სხვა ისეთი მოქმედებას, რომელიც იწვევს მსხვერპლში ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას იწვევს,; ასევე, მსხვერპლის ჯანმრთელობისთვის აუცილებელიე წამლების მიცემაზე, ექიმთან წაყვანაზე, ოპერაციის გაკეთებაზე უარის თქმა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს იწვევს.;

• ოჯახში ძალადობად მიიჩნევა ქმედება, როდესაც ოჯახის ერთი წევრი მეორეზე/სხვა წევრებზე ფსიქოლოგიურად ძალადობს;

ფსიქოლოგიური ძალადობა არის: მსხვერპლის შეურაცხყოფა (ცუდი, უხამსი, სალანძღავი სიტყვებით მოხსენიება), შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს;

• ოჯახში ძალადობად მიიჩნევა ქმედება, როდესაც ოჯახის ერთი წევრი მეორის/სხვა წევრების მიმართ იძულებას ახორციელებს.

იძულება არის: ადამიანის (მსხვერპლის) ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება (მაგალითად, მნიშვნელოვან საბუთებზე იძულებით ხელის მოწერა, იძულებით დაქორწინება).

• ოჯახში ძალადობად მიიჩნევა ქმედება, როდესაც ოჯახის ერთი წევრი მეორეზე/სხვა წევრებზე სექსუალურად ძალადობს. კერძოდ,

სექსუალური ძალადობა არის: კერძოდ, სექსუალური ძალადობა არის: სქესობრივი კავშირი ძალადობით (როდესაც მსხვერპლს არ სურს მოძალადესთან სქესობრივი კავშირის დამყარება, მაგრამ მოძალადე ძალის გამოყენებით მაინც ამყარებს სქესობრივ კავშირს), ძალადობის (ცემის, მოკვლის, დასახიჩრების, სახლში დამწყვდევის) მუქარით, ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით (ანუ, როცა მსხვერპლი იმყოფება ნარკოტიკული ან ალკოჰოლური თრობის ქვეშ, ან აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ან ისეთი ფიზიკური ჯანმრთელობის ისეთი პრობლემები, რომ არ შეუძლია, მოძალადეს გაუწიოს წინააღმდეგობა გაუწიოს); სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება, ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ

• ოჯახში ძალადობად მიიჩნევა ქმედება, როდესაც ოჯახის ერთი წევრი მეორეზე/სხვა წევრებზე **ეკონომიკურად ძალადობს,** ანუ, როდესაც მოძალადე მსხვერპლს არ აძლევს საკვებზე, პირადი ჰიგიენის ნივთებზე წვდომის საშუალებას, აგრეთვე, საცხოვრებელი ადგილით სარგებლობის უფლებას, ასევე მაშინ, როცა მოძალადე მსხვერპლს უკრძალავს მუშაობას, ან როდესაც მოძალადე ითვისებს (თვითონ იყენებს) მსხვერპლის შრომით მოპოვებულ შემოსავლებს, როდესაც მოძალადე მსხვერპლს უკრძალავს თანასაკუთრებაში არსებული ქონებით (მაგალითად, სახლით, ავტომანქანით) სარგებლობას, ან კუთვნილი ქონებრივი წილის განკარგვას.

·ოჯახში ძალადობად მიიჩნევა ქმედება, როდესაც ოჯახის ერთი წევრი **უგულებელყოფს ოჯახის არასრულწლოვანი წევრის/წევრების კანონიერ ინტერესებს/უფლებებს,** კერძოდ, როდესაც ოჯახის უფროსი წევრები (მაგალითად, მშობლები) არ ზრუნავენ ბავშვების კვებაზე, ჩაცმაზე, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე (მაგალითად, არ მიჰყავთ ექიმთან, არ ყიდულობენ წამლებს), განათლების მიღებაზე (არ დაჰყავთ სკოლაში), დასვენებაზე, აგრეთვე მაშინ, როდესაც უფროსი ადამიანები ბავშვებს აიძულებენ ბავშვისთვის შეუფერებელი სამუშაოს შესრულებას, მაგალითად სახლის დალაგებას, ჭურჭლის დარეცხვას, მძიმე ტვირთის წაღებას და ა.შ.

ვინ ითვლება ოჯახის წევრად?

ეს ადამიანები არიან - დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

როგორ უნდა დაიცვას თავი მსხვერპლმა ოჯახში ძალადობისგან?

იმისთვის, რომ მოძალადემ შეწყვიტოს მსხვერპლზე ძალადობა, მსხვერპლმა დახმარებისთვის უნდა მიმართოს პოლიციის ორგანოს (მაგალითად, უნდა დარეკოს 112-ზე); მსხვერპლმა პოლიციის მუშაკებს უნდა უამბოს მის მიმართ განხორციელებული ძალადობის (მაგალითად, ცემის, ლანძღვის, შეურაცხყოფის და სხვ.) ფაქტების შესახებ და უნდა მოითხოვოს მოძალადის წინააღმდეგ შემაკავებელი ორდერის გამოცემა. შემაკავებელი ორდერი შეიძლება გამოიცეს ერთ თვემდე ვადით;

·იმისთვის, რომ მოძალადემ შეწყვიტოს მსხვერპლზე ძალადობა, მსხვერპლს შეუძლია, განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მოძალადის წინააღმდეგ დამცავი ორდერის გამოცემა; განცხადებაში უნდა მიეთითოს ძალადობის ამსახველი (ცემის, ლანძღვის, შეურაცხყოფის და სხვ.) ფაქტები; განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ამ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები (მაგალითად, ტელეფონის ან/და სოციალური ქსელის მესიჯები, მოწმეთა ჩვენებები და ა.შ.); დამცავი ორდერი შეიძლება გამოიცეს 6 თვემდე ვადით;